ოქმი N5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 28 მარტი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 30 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

მოწვევით: ასოციაცია „ათინათის" წარმომადგენელი აკაკი კოროშინაძე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის,
საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა,
ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის
უფროსი);

8. პეტიციის წესით შემოსული საკითხების გადაწყვეტის შესახებ („ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ თორსის ტერიტორიაზე ცენტრალური საავტომობილო გზიდან სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრამდე არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთზე, ასევე

ამავე სოფლში არსებული სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწესრიგების საკითხის საკრებულოს სხდომაზე შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტის შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქარიატაში მდინარე ხობის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს რეაბილიტაციის საკითხის საკრებულოს სხდომაზე შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტის შესახებ“ პეტიციის წესით წარმოდგენილი განცხადებების თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

9. ხობის მუნიციპალიტეტის მე-4 მოწვევის საკრებულოს წევრებისთვის ე. წურწუმიას განცხადების გაცნობის თაობაზე;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ა. ქირია, კ. მიქაბერიძე)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული პროცედურები იმოქმედებს თუა არა მოსაკრებლის ამოღებაზე მისი გაუმჯობესების კუთხით.

ა. ვარდია - გამომსვლელმა განმარტა, რომ წინა წელს დაგეგმილი მაჩვენებელი ვერ შესრულდა თუმცა ამ ეტაპზე, მისი აზრით ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი ორმაგად გაიზრდება.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ“ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებებისთვის, ორგანიზაციებისა და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრა და მტკიცდება გადასახადის ამოღების ინსტრუქცია და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის ნიმუში. რაც შეეხება 2018 წლის საკრებულოს სხდომაზე მიღებულ იგივე დასახელების დადგენილებას საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში არ გამოქვეყნებულა დადგენილებაში არსებული შინაარსობრივი ხარვეზის გამო. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ა. ქირია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N16 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა

თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - მიმართა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს (დ. ჭოჭუა) წარმოდგენილი ცვლილებით გაიზრდებოდა თუ არა სახელფასო ფონდი.

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებით სახელფასო ფონდი არ გაიზრდებოდა და ამ მხრივ რაიმე პრობლემა არ იყო.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა იურიდიული კომისის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსისა და კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის წინადადებების შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126[1] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების თანახმად დაკორექტირდა ცალკეულ თანამდებობათა იერარქიული კუთვნილება და თანამდებობის დასახელება, კერძოდ: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების იურიდიულ საკითხებში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა გარდაიქმნა მეორე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის თანამდებობად, ხოლო მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურისა და განათლების საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა გარდაიქმნა პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ა. ქირია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N17 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ მომზადდა წინადადება საკრებულოს აპარატში არსებული თანამდებობების გარდაქმნის თაობაზე, გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 126[1]-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად 2018 წლის 1 აპრილამდე საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს ამავე კანონის 125-ე მუხლის პირველი და მეორე პუქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების კორექტირება, რაც გულისხმობს არსებულ საშტატო ნუსხაში ცვლილებების განხორციელებას. აღნიშნული წინადადების საფუძველზე განხორციელდა კანონით გათვალისწინებული პროცედურები და კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში, გარდაიქმნა მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად, და საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეცილისტის თანამდებობად. ეს თანამდებობა უკავია შ. შუშანია, რომელიც იმყოფება ანაზღაურების გარეშე შვებულებაში, თუმცა საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 125-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად თანამდებობათა გარდაქმნის პერიოდში სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერება არ აბრკოლებს თანამდებობათა გარდაქმნას. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ა. ქირია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

4. „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბიუროს სხდომაზეც იყო აზრთა სხვადასხვაობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება იყო უმჯობესი თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის. მართალია წყალსადენი სისტემის მოვლა-პატრონობისა და მოსახლეობისთვის უსაფრთხო და ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით ფუძნდება შპს, მაგრამ აინტერესებს შპს-ს დაფუძნებას რა უპირატესობა გააჩნია ა(ა)პი-სგან გასხვავებით.

ა. ვარდია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ანალოგიური შპს დაფუძნებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და მათი გამოცდილებიდან გამომდინარე იქნა ანალოგი გადმოღებული, პირველი ეტაპისთვის შპს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილ სუბსიდიაზე იქნება დაფუძნებული, თუმცა სამომავლოდ მოგებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ შეიძლება უკეთესი იყოს შპს-ს დაფუძნება, მაგრამ უნდა იქნეს დაასაბუთებული, თუ რატომ არის უმჯობესი და დასძინა, რომ ვერ დაუსახელებდნენ მას ვერცერთ შპს-ს, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებულს, რომელიც წლების შემდეგაც კი მოგებიდან შემოსული თანხებით არსებობდეს..

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ჰქონდა გამოცდილება ამ ტიპის შპს-ს შექმნის, რომელსაც გააჩნა კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული ხელმძღვანელობა, მათთან უშუალო კონსულტაციების შედეგად იქნა გადაწყვეტილი შპს-ს შექმნა, რომელიც შემდგომში მოგებაზე იქნება ორიენტირებული, რომელსაც დაახლოებით 5-6 წელი დასჭირდება.

ე. ჯობავა- გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკითხის საკრებულოში წარმოდგენამდე, უმჯობესია, საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარებთან ერთად იქნეს

განხილული მსგავსი ტიპის საკითხები და შესაბამისად მერიის მიმართ ამდენი შეკითხვებიც არ გაჩნდება.

დებატების დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

3. **ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალსადენი სისტემა ემსახურება 16 ადმინისტრაციულ ერთეულს. წყალსადენი სისტემის მოვლა-პატრონობისა და მოსახლეობისთვის უსაფრთხო და ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სისტემის „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის" გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან არაერთგზის წერილობით მიემართა კომპანიას, რაზედაც მუნიციპალიტეტმა უარი მიიღო. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალსადენი სისტემის მოვლა-პატრონობისა და მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, მერიის მიერ მომზადდა წინადადება კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N20 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით გაღმა საჯიჯაოს ხიდის დემონტაჟის, საჯიჯაოს საბავშვო ბაღის შენობის კაპიტალური რემონტისა და ხობის კინოთეატრის შენობის სახურავის დემონტაჟის შედეგად მიღებულ იქნა შავი ლითონის ჯართი, რომლის წონა შეადგენს 4 ტონასა და 800 კგ-ს. მათივე განმარტებით საპრივატიზებო ობიექტზე გააჩნიათ აუდიტორული დასკვნები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N21 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოვიდა საკრებულოს წევრის როლანდ სერგიას განცხადება საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე. აღნიშნული განცხადების საფუძველზე კომისიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც რ. სერგია გამოყვანილ იქნა იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N22 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა,

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მასთან მიღებაზე მყოფ მოქალაქეს გაუჩნდა შეკითხვა, თუ უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარი ადგილზე ვერ გამოცხადდებოდა, შესაძლებელი იყო თუა არა ადგილზე მიტანა მისთვის გამოყოფილი ულუფის და არსებობდა თუ არა ამის კონტროლის მექანიზმი.

შ. კანკია - გამომსვლელის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის მიერ დროგამოშვებით ხორციელდება კონტროლი, არის შემთხვევები როდესაც ბენეფიციარი ვერ მიდის ადგილზე, მაგრამ მისი კუთვნილი ულუფა მიაქვს მის ოჯახის წევრს და ხელს თვითონ აწერს.

ი. ჯიშკარიანი - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე - განაცხადა, რომ ის თვითონ შეესწრო, იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთმა ბენეფიციარმა ოთხ ადგილზე მოაწერა ხელი და ულუფა არ წაუღია, რომელმაც მასში შეშფოთება გამოიწვია.

შ. კანკია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ასეთი ბრალდება დადასტურებული უნდა იყოს ფაქტებით, რადგან მათ მიერ მონიტორინგის ჩატარების დროს ასეთ შემთხვევას არასდროს ჰქონია ადგილი.

ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელმა დადო პირობა რომ სისტემატურად გააკონტროლებდა ბენეფიციარების კვების და მომსახურების საკითხს და ფაქტებსაც წარმოადგენდა.

მ. ფილიპია - გამომსვლელი დაინტერესდა, რომ თუ ბენეფიციარი ვერ დადის ადგილზე ულუფის მისაღებად და არც ოჯახის წევრი ყავს მაშინ არსებობდა თუ არა რაიმე მექანიზმი მის დასაპურებლად.

შ. კანკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ იყო ასეთი ბენეფიციარებიც, რომლებიც ხშირად ვერ დადიან საკვების მისაღებად, მაგრამ ისინი თვითონ წარუდგენენ ხელმძღვანელობას მათ მიერ არჩეულ ნდობით აღჭურვილ პირს, რომელზეც ხდება ულუფის გაცემა და აღნიშნული პიროვნება აწერს ხელს.

ე. ჯობავა - გამომსვლელი დაინტერესდა, სოფლის ამბულატორიებში დასაქმებულ ექთნების დასაქმების საკითხით და აღნიშნა, რომ მართალია ტენდერში გამარჯვებული

კომპანია თვითონ არჩევს კანდიდატებს და ნიშნავს სოფლის ამბულატორიაში ექთნებს, რაზედაც რიგ შემთხვევაში მოსახლეობის მხრიდან არის პრეტენზიები. მაგალითად ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრობს კვალიფიციური ექთანი და მოსახლეობა ითხოვს მის დანიშვნას. გამომსვლელი დაინტერესდა, ტენდერში გამარჯვებული კომპანია ითვალისწინებდა თუ არა აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობის ან მერიის წინადადებებს.

შ. კანკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ სრული უფლება აქვს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას თვითონ დანიშნოს სოფლის ექთანი, მაგრამ ითვალისწინებენ მოსახლეობის და მერიის წინადადებებს შეძლებისდაგვარად. ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში ექთნის დანიშვნას, ამ ეტაპზე არავინ არის დანიშნული. კონსულტაციების შედეგად შეირჩევა მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრი.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ როდესაც ასეთ საკითხებზე კონსულტაციები იმართება, მაშინ საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარეც უნდა იყოს ჩართული.

დებატების დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის თანახმად, „უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარების ერთჯერადი კვებისა და მომსახურების დახმარების“ მუხლი განისაზღვრა 80000 ლარის ოდენობით, რომელიც ტენდერის შედეგით შემცირდა 15 000 ლარით და უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარების ერთჯერადი კვება და მომსახურების თანხა განისაზღვრა 65000 ლარის ოდენობით. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას

მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: თ. გულუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N23 ოქმს თან ერთვის)

8. პეტიციის წესით შემოსული საკითხების გადაწყვეტის შესახებ („ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ თორსის ტერიტორიაზე ცენტრალური საავტომობილო გზიდან სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრამდე არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთზე, ასევე ამავე სოფელში არსებული სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწესრიგების საკითხის საკრებულოს სხდომაზე შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტის შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქარიატაში მდინარე ხობის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს რეაბილიტაციის საკითხის საკრებულოს სხდომაზე შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტის შესახებ“ პეტიციის წესით წარმოდგენილი განცხადებების თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო პეტიციის წესით შემოსული საკითხების გადაწყვეტის შესახებ ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ თორსის ტერიტორიაზე ცენტრალური საავტომობილო გზიდან სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრამდე არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთზე და ამავე სოფელში არსებული სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწესრიგებისა და სოფელ ქარიატაში მდინარე ხობის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს რეაბილიტაციის თაობაზე და განაცხადა, რომ თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ თორსის ტერიტორიაზე, ცენტრალური საავტომობილო გზიდან სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრამდე საავტომობილო გზის მონაკვეთზე და ამავე სოფელში სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოების ჩატარება ამ ეტაპზე შეუძლებელია, ბიუჯეტში სამუშოთა შესასრულებლად საჭირო თანხის არ არსებობის გამო. სამუშაოების შესრულება შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში დამატებითი თანხის მობილიზების შემთხვევაში, რაც

შეეხება ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებას, მდინარის მარჯვენა სანაპიროს ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებაზე გაფორმებულია ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან, ხოლო მდინარის მარცხენა სანაპიროს რეაბილიტაცია შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში დამატებით თანხის მობილიზების შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია „ათინათის" წარმომადგენელი აკაკი კოროშინაძე.

ა. **კოროშინაძე** - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ მართალია ყველა პრობლემა ერთდროულად ვერ მოგვარდება, მაგრამ სოფელ თორსის გზაზე არის ქარსაცავი ზოლი, რომელიც სანიაღვრე არხების მოუწესრიგებლობის გამო ხშირად იტბორება და რისკს შეიცავს განადგურდეს ქარსაცავი ზოლი, ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე თუ არხები დროულად არ ამოიწმინდა შეიძლება მცირე ქარის დროსაც ხეები წაიქცეს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „მუნიციპალიტეტის სოფლებში არაერთი საკითხია გადასაწყვეტი, რაც მოსახლეობას აწუხებს, თუმცა სამწუხაროდ, ყველა პრობლემა ერთდროულად ვერ მოგვარდება, ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის სოფლებში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მომავალშიც გაგრძელდება. ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ ეს პრობლემები ეტაპობრივად მოგვარდეს."

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული.

9. ხობის მუნიციპალიტეტის მე-4 მოწვევის საკრებულოს წევრებისთვის ე. წურწუმიას განცხადების გაცნობის თაობაზე;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა განაცხადა, რომ მესამე მოწვევის საკრებულოს წევრი ე. წურწუმია საკრებულოში შემოვიდა განცხადებით (ოქმს თან ერთვის), სადაც ის ითხოვდა განცხადების შინაარის მეოთხე მოწვევის საკრებულოს წევრებისთვის გაცნობას. მისი მოთხოვნის თანახმად საკრებულოს აპარატის მიერ მომზადებული განცხადების ასლები თან ერთვის თქვენი სხდომის მასალებს და სურვილის შემთხვევაში თითოეულ თქვეთაგანს შეუძლია გაეცნოს მის შინაარს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე სახის მოსაზრება

აზრი გამოთქვეს: ი. ჯიშკარიანი - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე - განაცხადა, რომ, როგორც ე. წურწუმიას განცხადებაშია ნახსენები, მეოთხე მოწვევის საკრებულოში უამრავი ყოფილი და ხუთი ნაციონალური მოძრაობის წევრია, რაც, მისი განცხადებით სიმართლეს არ შეესაბამება და „ევროპული საქართველოს“ წევრებს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ნუ გააიგივებდნენ, რადგანაც ნაციონალური მოძრაობა მეოთხე მოწვევის საკრებულოში სამი წევრით არის წარმოდგენილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. თეა გელანტია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ტარიელ ალექსანდრია
8. ბექა მამაცაშვილი
9. თენგიზ აბაკელია
10. მერაბ ფილიპია
11. კახა ლატარია
12. თემურ გულუა
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. ია ჯიშკარიანი
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გოჩა ჯობავა
19. ირაკლი ნადარაია
20. მზია ლემონჯარია
21. გოჩა სიჭინავა
22. გია წულაია
23. შადიმან ჭილაია
24. აკაკი ხურცლავა
25. გიგა ნასარაია
26. კობა გოქაძე
27. იგორ გოგოლაძე
28. ნიკოლოზ ვეკუა
29. ავთანდილ ხუნჯუა
30. კახა მიქაბერიძე